

საიდ. №74694/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №122-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, დ. ჭიჭინაძე ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა შპს „ჯეო-ალკო“-ს (მის.: დიდი დილომი, გ. ბრწყინვალის 9, ბ. N66, 0131 თბილისი) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №122-03/14), რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივლისის №912/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის - „ძველი სარდაფი СТАРЫЙ ПОГРЕБ“ (საიდ. N74694/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-მე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივლისის №912/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „ძველი სარდაფი СТАРЫЙ ПОГРЕБ“ მსგავსია შპს „ვაზი-1“ (მისამართი: სოფ. წეროვანი, 3318, მცხეთის რაიონი) სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „ძველი მარანი OLD MARANI СТАРЫЙ МАРАНИ“ (რეგ. N 17135; რეგ. თარიღი: 28/11/06) 33-ე კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 33-ე კლასის ჩამონათვლისათვის (ალკოჰოლიანი სასმელები (ლუდის გარდა)) სიტყვიერ ჩანაწერს „ПОГРЕБ“ აქვს ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვა, კერძოდ განცხადებულ ნიშანში სიტყვიერ ელემენტს „სარდაფი“ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვიერ ელემენტს „მარანი“. აღნიშნული იწვევს სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას, რის გამოც, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ძველი სარდაფი СТАРЫЙ ПОГРЕБ“ უარი ეთქმა რეგისტრაციაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლის მიმართ.

აპელანტი შპს „ჯეო-ალკო“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტი თავის სააპელაციო საჩივარში, იშველიებს ლექსიკონურ განმარტებას, სადაც სიტყვიერ ელემენტებს „სარდაფი“ და „მარანი“ აქვს განსხვავებული მნიშვნელობა, კერძოდ: „სარდაფი“ - განმარტებულია, როგორც „პირველი სართულის ქვემოთ, მიწის დონეზე დაბლა მდებარე ნაწილი შენობისა; იყენებენ რისიმე შესანახად (ზოგჯერ საცხოვრებლადაც). შეშის შესანახი სარდაფი. - ბერიკაცმა ნესტიანი სარდაფი იქირავა (ვ. ბარნ.). მე დავიბადე ერთ ბნელ სარდაფში, სადაც მზის სხივი ვერა სწვდებოდა (გ. ქუჩ.). 2. სპეციალური შენობა (ჩვეულებრივ მიწის ქვემოთ) ღვინის შესანახად. 3. ძვ. სამიკიტნო, რომელიც მიწის დონეზე ქვემოთ

მდებარე სართულში იყო მოწყობილი. პურის საჭმელად წასვლა გადავწყვიტეთ, ერთმა თქვა: „ისეთი სარდაფი ვიცი, რომ მსგავსი ვერსად იპოვოთ“ (ს. კლდ.). მახლობელი სარდაფიდან ამოდიოდა დუდუკის ხმა (ა. ფტრც.). 4. ბარბარ გაზეთის გვერდის ქვემო ნაწილი, რომელიც ცალკე სტატიას უკავია - ქვედურა.“. სააპელაციო საჩივარში მოცემულია ასევე სიტყვიერი ელემენტის „მარანი“ განმარტება, კერძოდ: „საღვინე სახლი (საბა), ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი. ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარფალა (ილია). მარანში ქვევრებს რეცხავენ. სუფთავდება საწნახელი (ს.შანშ.).“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი განმარტავს, რომ „მარანი“ მდებარეობს მიწის ზევით, არის ცალკე შენობა, სადაც ამზადებენ და ინახავენ ღვინოს (განმსაზღვრელი სიტყვაა - ამზადებენ ღვინოს), ხოლო „სარდაფი“ მდებარეობს მიწის დონეზე დაბლა პირველი სართულის ქვეშ და გამოიყენება, ძირითადად, საზამთროდ დამზადებული პროდუქტების შესანახად, ხოლო თუ „სარდაფს“ წინ წაუმძღვარებთ სიტყვას „ღვინის“, მხოლოდ ამის შემდგე, ქართულად მოსაუბრე ადამიანს შეექმნება ასოციაცია, რომ იქ ინახება ღვინო. შესაბამისად, ქართულად მოსაუბრე ადამიანს, სიტყვა „სარდაფის“ გაგონებაზე არ უჩნდება ყურძნის დამუშავებისა და ღვინის დამზადების ასოციაცია.

რაც შეეხება სასაქონლო ნიშნის რუსულ სიტყვიერ ელემენტს „МАРАНИ“, აპელანტის მტკიცებით, რუსულად მოსაუბრე ადამიანს, ეს ტერმინი საერთოდ არაფერს ეუბნება, ვინაიდან რუსულ ენაში, ეს სიტყვა საერთოდ არ არსებობს, ხოლო სიტყვიერ ელემენტს „ПОГРЕБ“ რუსულ ენაზე აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ქართულ ენაში - „სარდაფი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014

წლის 11 ივლისის №912/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანი - „ძველი სარდაფი СТАРЫЙ ПОГРЕБ“ (საიდ. N74694/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №122-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

კოლეგია იზიარებს აპელანტის მოსაზრებას დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკური განსხვავების თაობაზე, კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანში „ძველი სარდაფი СТАРЫЙ ПОГРЕБ“ (საიდ. N74694/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანში „ძველი მარანი OLD MARANI СТАРЫЙ МАРАНИ“ შემავალ სიტყვიერ ელემენტებს „მარანი“ და „სარდაფი“, აქვთ განსხვავებული შინაარსობრივი მნიშვნელობა. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958წ., ტომიV, გვ. 55), სიტყვა „მარანი“, განმარტებულია, როგორც საღვინე სახლი, ღვინის შესანახი ადგილი. ამავე ლექსიკონით (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960წ., ტომიVI, გვ. 778), „სარდაფი“ განმარტებულია, როგორც შენობის პირველი სართულის ქვემოთ მდებარე ადგილი, რომელსაც იყენებენ რაიმეს შესანახად, ან საცხოვრებლად. შინაარსობრივი მნიშვნელობით სიტყვა „სარდაფი“ არ არის დაკავშირებული ღვინოსთან, ღვინის დამუშავებასა თუ შენახვასთან.

სააპელაციო პალატის კოლეგია მხედველობაში იღებს ასევე იმ გარემოებას,

რომ საქპატენტში 33-ე კლასის საქონლისათვის, რეგისტრირებულია არაერთი სასაქონლო ნიშანი, რომელიც შეიცავს სიტყვიერ ელემენტებს „მარანი“, კერძოდ: „რჩეული მარანი Rcheuli marani Рчеули марани“ (რეგ. N18395, რეგ. თარ.29.04.08), „მუხრანის მარანი Mukhrani Winery“ (რეგ. N18687, რეგ. თარ. 17.09.08), „ტიფლისი მარანი Tiflisi Marani Тифлиси Марани“ (რეგ. N21377, რეგ. თარ. 13.04.11), „ქმ ქინძმარაულის მარანი KINDZMARAU LI MARANI (რეგ. N21565, რეგ. თარ. 20.06.11), „Wine Cellar "Velistsikhe Veranda" ღვინის მარანი "ველისციხის ვერანდა“ (რეგ. N23486, რეგ. თარ. 27.03.13) და სხვ.

აქედან გამომდინარე, სიტყვიერი ელემენტი „მარანი“, არის ნაკლებად განმასხვავებელუნარიანი ელემენტი სასაქონლო ნიშანში, 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის (ალკოჰოლიანი სასმელები, ღვინის გარდა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, სასაქონლო ნიშანის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს და სასაქონლო ნიშანი - „ძველი სარდაფი СТАРЫЙ ПОГРЕБ“ (საიდ. N74694/03) უნდა დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ჯეო-ალკო“-ს (მის.: დიდი დილომი, გ. ბრწყინვალის 9, ბ. N66, 0131 თბილისი) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №122-03/14) დაკმაყოფილდეს.
2. „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ივლისის №912/03 ბრძანება.
3. სასაქონლო ნიშანი „ძველი სარდაფი СТАРЫЙ ПОГРЕБ“ (საიდ. N74694/03) დარეგისტრირდეს განცხადებული 33-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ს. დუმბაძე

დ. ჭიჭინაძე